ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის რამაზ ჯინჭარაძის საქმიანობის ანგარიში

2022 წელი, ნოემბერი

www.batumicc.ge

შესავალი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საკრებულოს საქმიანობა და უფლებამოსილება განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

რამაზ ჯინჭარაძე ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე 2022 წლის 30 მაისს აირჩიეს.



მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა

საკრებულოს თავმჯდომარე ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

- საკრებულოს სხდომების ორგანიზება, საკითხების განხილვა, გადაწყვეტილებების მიღება;
- საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- საკრებულოს წარმომადგენლობითი ფუნქციების გახორციელება.

V მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 5 მუდმივმოქმედი კომისია და 2 ფრაქცია

კომისიები:

საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია;

იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია;

ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია;

განათლების, კულტურის, ტურიმისა და სპორტის საკითხთა კომისია;

ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია.

ფრაქციები:

ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“;

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

V მოწვევის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- 6 სხდომა
- 11 ბიუროს სხდომა

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ 82 საკითხი, მიღებულ იქნა 53 ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი (განკარგულება) და 29 ნორმატიული სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტი (დადგენილება).

საკრებულოს კომპეტენციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ქალაქის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით.

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

საანგარიშო პერიოდში ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხდომებზე განიხილა სულ 82 საკითხი და მიიღო გადაწყვეტილებები, მათ შორის:

საკრებულომ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 59-ე მუხლის შესაბამისად, დაამტკიცა ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი. განკარგულების მიხედვით, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესით განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის საფუძველი, მიზანი და რეგულირების სფერო, ავარიული სახლების ჩანაცვლების წინაპირობები, ავარიული სახლების ჩანაცვლების მიზნით წარსადგენი დოკუმენტაცია, განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესები, ავარიული სახლების ჩანაცვლებისას დაინტერესებული პირებისათვის ბინის ქირის კომპენსაციის გაცემის საფუძვლები და ზღვრული ოდენობები, ასევე სხვა საჭირო საკითხები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემურ და გადაუჭრელ საკითხს წარმოადგენს ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების არსებობა, მათ შორის, ისეთი ავარიული საცხოვრებელი სახლებისა, რომლებიც არ ექვემდებარება გამაგრებას და საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ, დღეის მდგომარეობით, მომზადებულია 118 ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საესპერტო დასკვნა, რომლებიც წარმოადგენს საფრთხის შემცველ საცხოვრისს და რომლებშიც ცხოვრობს დაახლოებით 3000 ოჯახი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები არ არის საბოლოო და შესაძლებელია გაიზარდოს ახალ მისამართებზე მომავალში ჩატარებული ექსპერტიზების დასკვნების შესაბამისად. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით შემუშავებული იქნა ავარიული სახლების ჩანაცვლება/რეაბილიტაციის 4 წლიანი პროგრამა.

გარდა ზემოაღნიშნული პროგრამისა, აჭარის მთავრობის ინიციატივით, საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წლის 29 მარტის N159 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავდებობას საფინანსო ორგანიზაციებთან ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული საკრედიტო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დადგენილი წესის შესაბამისად.
ვინაიდან მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამ ურთულესი გამოწვევის დაძლევა და საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, ვერ განხორციელდება მხოლოდ ზემოაღნიშნული პროგრამების გამოყენებით, შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკითხის გადაწყვეტა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და მხარდაჭერით, მათ შორის, სამშენებლო-დეველოპერული კომპანიების ჩართულობით.
იმისათვის, რომ არსებული ავარიული სახლების ადგილზე აშენდეს ახალი თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლები, საჭირო გახდა ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცება, რაც შესაძლებელს ხდის ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებას ახალი თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლებით, რითაც დაკმაყოფილებული იქნება მასში მცხოვრები მოსახლეობა.

- საკრებულომ გადაწყვეტილებით, ქალაქ ბათუმის მერს თანხმობა მიეცა მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ განხორციელების მიზნით საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით.
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 19 სექტემბერს გამოიცა N73 განკარგულება „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელიც ძირითადად შეეხება პროგრამით მოსარგებლე ბენიფიციართა შერჩევის და ბინების გადაცემის საკითხებს.
აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელდა, ქ. ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N78ბ-ში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე „გ“ და „დ“ კორპუსებში არსებული (რეგისტრირებული) საცხოვრებელი ბინების შერჩეული ოჯახებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ, 15 წლის ვადით გადაცემა. იგივე პროცედურები უნდა განხორციელდეს „ა“ და „ბ“ კორპუსებში არსებულ (რეგისტრირებულ) საცხოვრებელი ბინებთან დაკავშირებით, რაზედაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, ქალაქ ბათუმის მერს მიეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი თანხმობა.

საკრებულომ დაამტკიცა ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმა.
სსიპ ბათუმის ბულვარმა გეგმის პროექტზე მუშაობა 2022 წლის თებერვალში დაასრულა, იგი მოიცავს სამ ნაწილს: კვლევით ნაწილს, განაშენიანების გეგმას და დამხმარე სახელმძღვანელო

დოკუმენტს. აღნიშნული გეგმის მიღების მთავარი მიზანი იყო ბულვარის სამომავლო განვითარების ხედვის შემუშავება და განაშენიანების გეგმის დოკუმენტის მომზადება მისი ლანდშაფტური, არქიტექტურული და მხატვრული ღირებულებების შენარჩუნებით. ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმის ტექნიკური დავალების შემუშავებისა და მიღების ეტაპზე ჩართული იყო არასამთავრობო და სამთავრობო უწყებებისგან შემდგარი კომისია.

საკრებულომ დაამტკიცდა ველოგადაადგილების გენერალური გეგმა, რომელიც რეგიონული პროგრამის „მდგრადი ურბანული მობილურობა სამხრეთ კავკასიაში“ (Mobility4Cities) ფარგლებში შემუშავდა. აღნიშნული პროგრამა დაფინანსებულია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) მიერ და ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). ბათუმის ველოგადაადგილების გენერალური გეგმა ითვალისწინებს ინტეგრირებული მიდგომების დანერგვას ბათუმის ველომეგობრულ ქალაქად ჩამოყალიბების მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის (SUMP) განხორციელებას.

საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი. საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე. აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი. აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრება აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

საკრებულოს აპარატში ფუნქციონირებს სამი განყოფილება:

საქმისწარმოების განყოფილება;
მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;
იურიდიული განყოფილება.

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობაში საქმიანობას ახორციელებს საკრებულოს 17 წევრი.

ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- ფრაქციის საქმიანობის საჯაროობა
- დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა
- ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა
- თანასწორობა კანონის წინაშე

ფრაქცია შექმნილია საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად გახორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

<u>ფრაქციაზე განხილული საკითხები:</u>

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის:

- საკრებულოს წევრების 2022 წლის აქტივობების ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების 2022 წლის სამუშაო გეგმის შესახებ საკრებულოს ფრაქციასა და ბათუმის მერიას შორის კოორდინაციის გეგმის შემუშავების შესახებ;
- სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- საკრებულოს სხდომაზე განსახილველი სხვადასხვა მიმდინარე საკითხის განხილვის შესახებ;
- ქალაქში დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებზე ინფორმაციების მოსმენა.

ფრაქციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 5 სხდომა.

ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა 61 საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში

ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისია

კომისიის მიზანი:

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების სფეროში საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს, განიხილავს ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ვეტერანთა საქმეების სფეროში მომზადებულ და საკრებულოს სხდომაზე

განსახილველად წარმოდგენილ პროექტებს და ღებულობს სათანადო დასკვნებს, სამოქმედო სფეროში განიხილავს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის პროექტს, ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამების პროექტებს და მათ შესახებ ღებულობს შესაბამის დასკვნებს,სამოქმედო სფეროში კონტროლს უწევს მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;

საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადება, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების სამართლებრივი კონტროლის გახორციელება.

კომისიის შემადგენლობაშია საკრებულოს 12 წევრი.

საანგარიშო პერიოდში ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიამ გამართა 4 სხდომა. კომისიამ 4 სხდომაზე განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული 9 საკითხი.
საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარე იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიისიის ოთხ სხდომაზე ასრულებდა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას. კომისიამ დასკვნის სახით 4 რეკომენდაცია შეიმუშავა.

მოქალაქეებთან შეხვედრები

საკრებულოს თავმჯდომარე სხვადახვა საკითხზე ადგილზე შეხვდა და კონსულტაცია გაუწია 635 მოქალაქეს.

ამავე პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე საკრებულოს აპარატში რეგისტრირებულია 471 განცხადება და უწყებების კორესპოდენცია, 412 გადაეგზანა შესაბამის სამსახურებს, 59 განხილვის პროცესშია, რომლებზეც გაცემულია პასუხი, ნაწილი კი შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილია შესაბამის სამსახურებში განსახილველად.

მიმდინარე წლის განმავლობაში ყველა პრიორიტეტული მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მათ შორის: ხორციელდება საკმაოდ მასშტაბური პროექტები ინფრასტრუქტურის მიმართულებით, სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც სისტემა სრულიად ახალ სტანდარტებზე გადადის. მიმდინარეობს არსებული რეკრეაციული ზონების განახლება-რეაბილიტაცია.